ინფორმაცია ტკიპების ნაკბენის და ლაიმის დაავადების (ბორელიოზის) შესახებ



როგორ ავირიდოთ თავიდან ტკიპის ნაკბენი

ტკიპებს შეუძლიათ დაავადებების გავრცელება, მათ შორის ლაიმის დაავადების.

დაიცავით თავი:

- გამოიყენეთ რეგისტრირებული მწერების საწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც შეიცავს DEET-ს, პიკარდიდინს, IR3535-ს, ლიმონის ევკალიპტის ზეთს, პარა-მენთან- დიოლს ან 2-უნდეკანონს. ყოველთვის დაიცავით პროდუქტის ინსტრუქცია.
- ჩაიცვით პერმეტრინით დამუშავებული ტანსაცმელი.
- გარეთ ყოფნის შემდეგ რაც შეიძლება მალე მიიღეთ შხაპი.
- ყოველდღიურად შეამოწმეთ ტკიპები. ტკიპებს შეუძლიათ დაიმალონ იღლიების ქვეშ, მუხლების უკან, თმაში და საზარდულის არეში.
- სახლში შესვლის შემდეგ დაამუშავეთ ტანსაცმელი საშრობში მაღალ ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში, რათა გაანადგუროთ ტკიპები მშრალ ტანსაცმელზე. თუ ტანსაცმელი სველია, შესაძლოა დამატებითი დრო დაგჭირდეთ.

როგორ მოვიცილოთ ტკიპა

1. ტკიპა წვრილწვერიანი პინცეტით დაიჭირეთ რაც შეიძლება ახლოს კანის ზედაპირთან.
2. ტკიპის მოსაშორებლად თანაბარი ზეწოლით ამოსწიეთ ზევით. მოერიდეთ მოტრიალებას ან მკვეთრ მოძრაობას.
3. ნაკბენი ადგილი და ხელები გაიწმინდეთ სპირტხსნარით ან საპნითა და წყლით.



შენიშვნები:

- ტკიპის ნაკბენით ინფიცირების შანსების შესამცირებლად, რაც შეიძლება მალე მოიცილეთ ტკიპა.
- ტკიპის მოსაცილებლად არ გამოიყენოთ ფრჩხილის ლაქი, ვაზელინი ან ცეცხლის ალი.
- თუ ტკიპის პირის აპარატი კანში დარჩება, არ ეცადოთ ამოღება, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ის რამდენიმე დღეში ამოვარდება.

U.S. Department of Health and Human Services
Centers for Disease Control and Prevention

სახის დამბლა

სამიზნის ტიპის დაზიანება

მუხლის სახსრების ართრიტი

როდის უნდა მიმართოთ ექიმს

თუ ტკიპის მოცილებიდან ან ტკიპების გავრცელების არეალში ყოფნიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში განგივითარდათ გამონაყარი, სიცხე, დაღლილობა ან სახსრებისა და კუნთების ტკივილი, მიმართეთ ექიმს. აუცილებლად ახსენეთ ტკიპის კბენის ბოლო შემთხვევა და თარიღი, ან ის, რომ იყავით ტკიპების გავრცელების არეალში.

მკურნალობის გარეშე ლაიმის დაავადებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სახსრებზე, გულზე ან ნერვულ სისტემაზე.

ლაიმის დაავადების სამკურნალოდ ანტიბიოტიკები გამოიყენება

დაავადების ადრეულ სტადიაზე ანტიბიოტიკებით მკურნალობისას, როგორც წესი, სწრაფად და სრულად გამოჯანმრთელდებიან. ლაიმის დაავადების სამკურნალოდ ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიბიოტიკებია: დოქსიციკლინი, ამოქსიცილინი ან ცეფუროქსიმი.

გამოჯანმრთელების მოლოდინში

დაისვენეთ და მიიღეთ ანტიბიოტიკები დანიშნულებისამებრ. გამოჯანმრთელებას შეიძლება რამდენიმე კვირა ან მეტი დასჭირდეს.

ზოგიერთ ადამიანს აინტერესებს, არსებობს თუ არა ტესტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ისინი განკურნებულები არიან, მაგრამ ასეთი ტესტი არ არსებობს. ლაიმის დაავადების ხელახალი ტესტირება არ არის რეკომენდებული, რადგან სისხლის ანალიზები შეიძლება დადებითი იყოს მკურნალობის დასრულებიდან რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში. დადებითი ტესტი არ ნიშნავს, რომ თქვენ კვლავ ინფიცირებული ხართ. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ თქვენი იმუნური სისტემა იმახსოვრებს ინფექციას.

თქვენ შეიძლება კვლავ დაავადდეთ ლაიმის დაავადებით, თუ სხვა ინფიცირებულმა ტკიპამ გიკბინათ, ამიტომ დაიცავით თავი ტკიპის ნაკბენისგან.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ
www.cdc.gov/Lyme and www.cdc.gov/Ticks